ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N1

ანა პიჟეი - „ჯარიმის დაწესების პრინციპები და პრაქტიკა კონკურენციის სამართალში: პოლონური გამოცდილება“

2026 წლის 23 თებერვალი ,19:00-20:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

ანა პიჟეი - სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ევროკავშირისა და კონკურენციის სამართალში) პოლონეთის ბიალისტოკის უნივერსიტეტში. აქვს კონკურენციის სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. მისი კვლევები ძირითადად ეხება კონკურენციის სამართლის აღსრულების პრობლემატიკას პოლონეთსა და ევროკავშირში. ასწავლის ევროკავშირის კონკურენციის სამართალს არა მარტო პოლონეთში, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა რამდენიმე ქვეყანაშიც (მოწვეული ექსპერტის რანგში), Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

ვებინარის შესახებ

კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში, დარღვევის დადგენისას შესაბამისი ჯარიმის დაკისრება მრავალფუნქციური აღმასრულებელი ქმედებაა. ჯარიმის დაკისრებით, ერთდროულად უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეკონომიკისთვის/ბაზრისთვის კონკურენციის სამართლებრივი დარღვევით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს სასარგებლოდ ანაზღაურება, პრევენცია მსგავსი დარღვევის შემდგომში ჩადენისა - როგორც დაჯარიმებული ეკონომიკური აგენტის, ისე ბაზრის სხვა ნებისმიერი მოთამაშის მიერ და, ამავდროულად, დაცული უნდა იქნას სამართლიანობის პრინციპი, რათა არ მოხდეს გადაჭარბებული ფინანსური ტვირთის გამო დაჯარიმებული ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ბაზრიდან განდევნა. შესაბამისად, ჯარიმის დაკისრება მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს და საკმაოდ შრომატევადი პროცესია. რა პრინციპების საფუძველზე უნდა მოხდეს ჯარიმის გამოთვლა კონკრეტულ საქმე(ებ)ში და როგორია ამ მხრივ აღმასრულებელი პრაქტიკა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში? ვებინარის ფარგლებში ამ საკითხს განვიხილავთ პოლონეთის უახლესი გამოცდილების მაგალითზე.

ვებინარზე დარეგისტრირება შესაძლებელია შემდეგი ლინკით

https://forms.gle/Dgb1b87aPtdwdBnr5

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/